ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

11-15 აგვისტო, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ციხიდან გაქცეული ბრიტანელი ტერორისტი დაკავებულია

ყოფილი ბრიტანელი სამხედრო, დანიელ აბედ ხალიფე, რომელიც ლონდონის ციხეში, Britain's Official Secrets Act(ბრიტანეთის ოფიციალური საიდუმლო აქტის) დარღვევის ბრალდებით იქნა მოთავსებული, რაც თავის მხრივ მოიცავდა მტრებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებასა და სამხედრო ბაზებთან ყალბი ნაღმების დანერგვას, ციხიდან საკვების გადამზიდი სატვირთოს მეშვეობით გაპარვის შემდეგ, დაკავებულ იქნა. მისმა გაქცევამ გაერთიანებულ სამეფოში გამოიწვია პოლიტიკური კრიტიკა და ხელი შეუწყო საშუალო დონის დაცული ციხის ეფექტურობის ეჭვქვეშ დაყენებას.

11.09.2023

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა აღმოსავლეთ სირიის ადგილობრივ ტომებთან დაპირისპირება დასრულებულად გამოაცხადა

შეერთებული შტატების მხარდაჭერილმა სირიის დემოკრატიულმა ძალებმა, 11 სექტემბერს დასრულებულად გამოაცხადა 27 აგვისტოს აღმოსავლეთ სირიაში ადგილობრივ ტომებთან თითქმის ორკვირიანი ბრძოლა, რომელსაც ათობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ბრძოლის შედეგად, SDF-მ დაიბრუნა კონტროლი დეირ ელ-ზორის პროვინციაზე, რომელიც ქურთთა მიერ მართულმა ძალებმა, დაპირისპირების დროს დაკარგეს.

11.09.2023

თალიბანის ოპერაიცა ისლამური სახელმწიფოს ხორასანის პროვინციის (IS-K) წინააღმდეგ

თალიბანის სპეციალური ძალების მიერ, ბადახშანის პროვინციაში განხორციელებული ოთხ დღიანი ოპერაცია ისლამური სახელმწიფოს- ხორეშანის „მნიშვნელოვანი კავშირის" წინააღმდეგ დასრულდა. ჩრდილოეთ ავღანეთში, ჩინეთის, პაკისტანისა და ტაჯიკეთის საზღვარზე, თალიბანმა დააკავა 12 ისლამური სახელმწიფოს წევრი და მნიშვნელოვანი იარაღი, რომელიც მოიცავდა ტყვიებს, ბომბებს, კომპიუტერებსა და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას. დაკავებულები სავარაუდოდ ჩართულნი იყვნენ სასაზღვრო პროვინციაში არსებულ სამოქალაქო და სამთავრობო ობიექტებზე განხორციელებულ თავდასხმებში.

11.09.2023

უპილოტო დრონით თავდასხმა ცენტრალურ სომალიში

ცენტრალურ სომალიში უპილოტო დრონის თავდასხმას ხუთი მოქალაქე და სამი ჰარაკატ ალ-შაბააბ ალ-მუჯაჰიდინის (ალ-შაბააბის) მებრძოლი ემსხვერპლა, თუმცა, სომალის სახელმწიფო საინფორმაციოს მიხედვით მსხვერპლი უფრო დიდი იყო და

ქალი, ორ ბავშვთან ერთად ემსხვერპლა გალგადუდის შტატში, ელ-ლაჰელაის სოფელში ტერორისტების მიერ განთავსებულ მიწისქვეშა ნაღმს. აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის (AFRICOM) ინფორმაციით, რომელიც წლების განმავლობაში დახმარებას უწევს სომალის მთავრობას ალ შაბააბის წინააღმდეგ, ლიკვიდირებულ იქნა სამი ტერორისტი და მოხდა მშვიდობიანი მოქალაქეების ევაკუაცია.

11.09.2023

სუიციდური ტერორისტული აქტი ჩრდილო-აღმოსავლეთ მალიში

ალ კაიდასთან დაკავშირებულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ- „ჯამა'ათ ნასრ ალ-ისლამ ვალ მუსლიმინ-მა“ (შემოკ. „ნუსრატ ალ-ისლამი“) (ქართ. „მუსლიმთა დახმარების ჯგუფი“) (JNIM)) ჩრდილო-აღმოსავლეთ მალის სამხედრო ბაზაზე სუიციდ ტერორისტულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო მას შემდეგ, რაც მმართველმა ძალებმა დაადანაშაულა ორგანიზაცია სამხედრო ბანაკსა და გემებზე განხორციელებულ თავდასხმაში, რომელსაც 60-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

11.09.2023

თალიბანის თავდასხმა პაკისტანში

პეშავარში გზისპირა აფეთქებას, რომლის სამიზნეც პაკისტანის უსაფრთხოების ძალები იყო, ემსხვერპლა უსაფრთხოების ერთი ოფიცერი და კრიტიკულად დაშავდა ცხრა ადამიანი, მათ შორის სამი მშვიდობიანი მოქალაქე. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „თეჰრიკ-ე-თალიბანმა“ (ქართ. „პაკისტანის თალიბანი“) (TTP) აიღო, რომელმაც გააძლიერა თავდასხმები პაკისტანის უსაფრთხოების ძალებზე მას შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბერში, მთავრობასთან ცეცხლის შეწყვეტის ცალმხრივი შეთანხმებიდან გამოვიდა.

12.09.2023

ამერიკის შეერთებული შტატების სანქციები „ჰიზბუ ლ-ლაჰის“ დამფინანსებელთა წინააღმდეგ

აშშ-ს ხაზინამ დააწესა ტერორიზმის სანქციები ლიბანისა და სამხრეთ ამერიკის ნათესაურ კრიმინალურ ქსელზე, რომელთაც ორგანიზაცია „ჰიზბუ ლ-ლაჰის“ (შემოკ. „ჰეზბოლა“) (ქართ. „უფლის პარტია“) დაფინანსებაში ედებოდათ ბრალი. ამერ მოჰამედ აკილ რადა, რომელიც სავარაუდოდ არგენტინაში 1990-იან წლებში სასიკვდილო თავდასხმებში მონაწილეობდა, ერთ-ერთი მათგანი იყო. ეს ქმედება, თავის მხრივ, ხაზს უსვამს აშშ-ს მთავრობის თავდადებას „ჰიზბულ ლ-ლაჰის“ ოპერატიულობისა და ფინანსისტების დევნას გლობალური მასშტაბით.

13.09.2023

აფეთქება ღაზას სექტორთან ახლოს

ისრაელისა და ღაზას საზღვართან, 2005 წელს ისრაელის ღაზიდან გასვლისადმი მიძღვნილი დემონსტრაციის დროს, აფეთქება მოხდა, რომელსაც ემსხვერპლა სულ მცირე ხუთი პალესტინელი და დაშავდა 20-ზე მეტი მოქალაქე. მაშინ, როცა ღაზას აღმოსავლეთ საზღვართან მოწყობილი ღონისძიება ჰამასის მიერ იყო დაგეგმილი, ისრაელის არმია უარყოფს ნებისმიერი ფორმით კავშირს მომხდართან.

14.09.2023

აისისის წევრის სასიკვდილო განაჩენი

ერაყის სასამართლომ, ბაღდადის სისხლის სამართლის სასამართლოს ვერდიქტით, აისისის წევრს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 2014 წელს სუიციდურ თავდასხმაში მონაწილეობის ბრალდებით, რომელსაც საბოლოოდ, სამარაში რელიგიური მოვლენის აღსანიშნავად წასული 17 მომლოცველი ემსხვერპლა. აფეთქება მოხდა ტაჯის რაიონში, ბაღდადის ჩრდილოეთით, სამიზნე იყო „mawkeb“,სადგომი სადაც შიიტ მუსლიმ მომლოცველებს შეეძლოთ საკვებისა და სასმლის პოვნა.

15.09.2023